Այն դեպքում, եթե ուսուցչի ընտանիքի անդամ առողջության հետ կապված խնդիր ունի, կարո՞ղ է արդյոք ուսուցիչն օգտվել ժամանակավոր անաշխատունակության պատճառով արձակուրդը:

Ժամանակավոր անաշխատունակության պատճառով արձակուրդը ժամանակահատված է, երբ աշխատողը ժամանակավոր անաշխատունակության պատճառով չի կարող կատարել իր պարտավորությունները և այս հիմքով նա իրավունք ունի չներկայանալ աշխատավայր անընդմեջ 40, իսկ 6 ամսվա ընթացքում, ընդամենը 60 օրացուցային օրվա ընթացքում, ինչը վճարովի է: Աշխատողը տվյալ իրավունքից կարող է օգտվել ընտանիքի հիվանդ անդամին խնամելու պատճառով և, համապատասխանաբար, նա իրավունք ունի պահանջելու, որ իրեն համապատասխան օգնություն տրամադրվի:

Աշխատանքային հարաբերություն սկսելուց հետո ե՞րբ կարելի է ներգրավվել Ուսուցչի սխեմայի մեջ:

Համապատասխան որակավորում ունեցող անձը, դպրոց աշխատանքի ընդունվելուց հետո, իրավագոր է «Ուսուցչի գործունեություն սկսելու, մասնագիտական զարգացման և կարիերային առաջընթացի սխեմայի հաստատման մասին» Կառավարության որոշման համաձայն, սահմանված առարկայական և մասնագիտական իրավասությունների հաստատման նպատակով հանձնել համապատասխան քննություն:

Իսկ համապատասխան կրեդիտ-միավորներ կուտակելուց հետո, տնօրենը պարտավոր է, ուսուցչին Սխեմայի մեջ ներգրավելու նպատակով, էլեկտրոնային համակարգում տեղադրել համապատասխան տեղեկություններ հանրակրթական հաստատությունում գործող ուսուցիչների մասին:

Այն դեպքում, եթե ուսուցիչը դիպլոմով չունի ուսուցչի իրավունք, նա իրավունք չունի մասնակցել մասնագիտական կարողությունների քննությանը: Այս իրավունքը ձեռք բերելու համար նա պարտավոր է համապատասխան բարձրագույն կրթական հաստատությունում անցնել 60 կրեդիտանոց կրթական ծրագիր, ինչով ուսուցչի իրավունք ձեռք կբերի, և նրան Սխեմայի մեջ ընդգրկվելու համար անհրաժեշտ ակտիվությունների իրականացման հնարավորություն կտրվի:

Որքա՞ն ժամանակվա ընթացքում կարող է ուսուցիչը լինել ժամանակավոր պաշտոնակատար:

Գործող օրենսդրությունը ուսուցչի՝ ժամանակավոր պաշտոնակատար նշանակելու ժամկետի հետ կապված ոչ մի սահմանափակում չի սահմանում: Որպես կանոն, ուսուցչին ժամանակավոր պաշտոնակատար նշանակելու ժամանակ նա կատարում է ուրիշ այնպիսի ուսուցիչների պարտականություններ, որոնք տարբեր պատճառներով (արձակուրդ, ժամանակավոր անաշխատունակություն և այլն) չեն կարող կատարել իրենց գործառնությունները: Համապատասխանաբար, այդ ժամկետը, պայմանագրի հիման վրա, երկկողմ համաձայնության առարկա է ուսուցչի և հանրային դպրոցի տնօրենի միջև: Մահմանափակումը տարածվում է միայն փորձաշրջանով ուսուցչի հետ աշխատանքային հարաբերություն սկսելու վրա, որը չպետք է գերազանցի 6 ամիսը:

Ի՞նչ իրավական լծակներ ունի ուսուցիչը, երբ տնօրենը նրան վիրավորանք է հասցնում և ի՞նչ պատասխանատվության կարելի է ներթափանցել տնօրենին:

«Դպրոցի տնօրենի էթիկայի կանոնագրքը» տնօրենին պարտավորեցնում է վիրավորանք չհասցնել ինչպես ուսուցչին, այնպես էլ աշակերտին, ծնողին և դպրոցում աշխատող այլ անձի: Տնօրենի կողմից ուսուցչի նկատմամբ նման պարտականությունների խախտման դեպքում ուսուցիչը կարող է տեղեկատվություն տրամադրել Գրքության և գիտության նախարարության Ներքին առողիտի դեպարտամենտին, որը իրավագոր է ուսումնասիրել խախտման բնույթն ու ծանրությունը:

Գրե՞ք մեզ Ձեզ հետաքրքրող հարցերը, և Արհմիությունների փաստաբանը խորհրդատվություն կտրամադրի Ձեզ:

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

ლიტერატურის სწავლებისათვის

ისტორიული ფონი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბელი ქართლისას“ შესწავლისას

„ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდით იმოსვის.“
„სუმბული და მწირი“

ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველია, რომელიც XVIII საუკუნის საქართველოს, კერძოდ, ერეკლეს ეპოქას ასახავს; ასახავს ფრთხილად და რეალისტურად, ტკივილითა და სიყვარულით. პოეტმა „ბელი ქართლისა“ 1839 წელს შექმნა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში უკვე იყო დამდგარი შედეგი იმ ისტორიული მოვლენისა, რომელზედაც პოემა დაინერა.

თხუთმეტი წლის ერეკლე გლეხების რაზმს ხელმძღვანელობდა ლეკების წინააღმდეგ. ამ დროიდან მოყოლებული იგი „პატარა კახის“ სახელით იცნობა. **ნიკოლოზ ბარათაშვილი მამართავს კახელებს და მეფეს სწორედ ხალხის მიერ შერქმეული სახელით მოიხსენიებს. თხზულებაში სადღეგრძელოს ინტონაცია ლოცვით იცვლება, სადაც ერეკლე უფალს თავის სამშობლოს ავედრებს. პოემაში სიუჟეტი შედგეიდან გამომდინარე იშლება, უთუოდ ამიტომ, ფაქტების სიმძაფრისათვის, ქრონოლოგია დარღვეულია.**

ისტორიულად ჯერ იყო გეორგიევსკის ტრაქტატი, შემდეგ კრწანისის ბრძოლა. **ნაწარმოებში პირიქითაა, აღწერილია „მწარე, ძლიერი ომი...“** შინაომები გამარჯვებულ ალა-მაჰმად-ხან ყაჯარს ერეკლე მეფისათვის, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რუსეთთან კავშირის განწყვეტა, ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის აღდგენა, წყალობა და პატივი შეუთავაზებია; ქართველთა მეფეს უარი შეუთვლია, ალა-მაჰმად-ხანი საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ერეკლე რუსეთს, ხელშეკრულების თანხმად, ჯარსა და არტილერიით დახმარებას სთხოვდა. მეფეს კავკასიის ხაზის გენერალი გუდოვიჩი სიტყვიერად აიძულებდა.

1795 წლის აგვისტოს ალა-მაჰმად-ხანი შუშის სახანოს მოადგა. ერეკლე II, ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით, შუშის ხანს დაეხმარა და მტერი დაამარცხა. ალა-მაჰმად-ხანი საქართველოსკენ დაიძრა, ერევნის ციხის აღებას აღარ დაელოდა და თბილისს მოადგა. ერეკლე 35000-იან მტრის ჯარს 5000-მდე მეომრით უნდა დაპირისპირებოდა. ქართველებმა პირველი იერიში მოიგერიეს. 11 სექტემბერს სპარსელებმა მთელი ძალით შეუტყეს. სისხლით შეიღება კრწანისის ველი... ერეკლე, შვილიშვილმა იოანე გიორგის ძემ, ბრძოლის ველიდან იძულებით გამოიყვანა. ომში გამარჯვებულ დაეცნენ: მუსიკოსების რაზმი მაჩაბლის ხელმძღვანელობით, ცნობილი მეზარბაზნეები, 300 არაგველი...

ულმობელი ბრძოლის შემდეგ პოეტი აღნიშნავს: „ირაკლიმ უკვე გაჰქუსლა/მითუღეთისკენ თავისი ცხენი...“ აღსანიშნავია ბუნება რომანტიკოსთა შემოქმედებაში. პოემაში ეს პეიზაჟი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უთუოდ, მეფე ერეკლე იმ ხეობის მოსახლეობადაც მიდის, სადაც კრწანისის ბრძოლაში დაღუპული 300 „არაგვიანი“ აღიზარდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი მეფეს არემარეს, მინორში არ ახვედრებს“. პირიქით, „მორბის არაგვი“, „თან მოსძახიან მთანი ტყიანნი/და შეუპოვრად მოუთამაშებს/გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს...“ მას არაგვის პირნი მოზიბიერებ და შვეტი მომზირნი ხვდება. მდინარის ნაპირებს ძაძები კი არ ჩაუცვამთ, პირიქით, სამშობლოსათვის თავდადებული და თავგანწირული შვილების აღმზრდელნი სიცოცხლით სავსე გამწვანებული მთებით შემოსილან (მწვანე – სიცოცხლისა და იმედის ფერია).

მდინარეს, როგორც მოვლენების განსაკუთრებულ გამომხატველს, პოემის დასასრულსაც ვხვდებით. როდესაც მეფე ერეკლე აოხრებულ თბილისს უახლოვდება, მას ესმის, როგორ „ბუტბუტებს მტკვარი მწუხარი“. ლექსში „საფლავი მეფისა ირაკლისა“ (1842წ.), სადაც პოეტი რუსეთთან დაახლოების შედეგებს აღნიშნავს, წარსულში ირანის შემოსევებს „კასპიის ღეფვას ადარებს“, ხოლო ოსმალო მტერს „შავი ზღვის ზვირთში“ აიგივებს.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში უკვდავია 300 არაგველის გმირობის ამბავი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2008 წლის 27 ივნისის სხდომამ განაჩინა: „1795 წ. კრწანისის ომში მომწყდარი 300 არაგველი და სასულიერო და საერო პირნი შერაცხილ იქნან წმიდა მონაგებებად... მათი ხსენების დღედ დაწესდეს 11 (24) სექტემბერი...“

სწორედ 300 არაგველის მამულში – არაგვის ხეობაში ნიკოლოზ ბარათაშვილი მეფე ერეკლესა და მის ერთგულ მსაჯულ სოლომონს შორის ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ დიალოგს მართავს, რომელიც სამშობლოს დართა და სიყვარულითაა გაჯერებული.

ქართველთათვის რუსეთის მხრიდან სიტყვიერი დანაპირების იმედგაცრუება უცხო არ იყო: 1722 წელს ვახტანგ VI, ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით, 3 თვის განმავლობაში, ამაოდ ელოდა პეტრე I-ის ამაღლას ირანზე ერთობლივი შეტევის განსახორციელებლად; 1770 წელს ერეკლე მეფეს, ასპინძის ომში (გენერალმა ტოტლებენმა იმედი გაუცრუა), მარტოს მოუწია ოსმალოს დამარცხება... 1795 წელს, კრწანისის ომის დროს, რუსეთი ქართველებს კვლავაც მარტო ტოვებს აღმოსავლეთის მტერთან, მაგრამ ეს შემთხვევა კიდევ უფრო მძიმეა, ვინაიდან რუსეთი არ ასრულებს გეორგიევსკის ტრაქტატით აღებული ვალდებულებას.

ერეკლე მეფის თავდადებული ღვაწლი განსაკუთრებულია. ის ნადირ შაჰს, რომელსაც ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში ახლდა ინდოეთში სალაშქროდ, იძულებულს ხდის, დათმობებზე წავიდეს, ახერხებს მეზობელი სახანოების (ერევნის, ნახიჩევანის, განჯის) დამორჩილებას, სამხრეთ ადარბადაგანის მფლობელის აზატ-ხანის და შაქი- შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის საბოლოოდ დამარცხებას, ხუნძახის (ავარიის მფლობელი) ნურსალბეგის შემოსევების (მჭადიჯვართან, ყვარლის ციხესთან) მოგერიებას... ამიტომაც არის, რომ XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი თურმე განაცხადებს: დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში – ერეკლეო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის დიდ წინაპარს (ის გახლდათ, დედის ხაზით, ერეკლე მეფის შვილიშვილის შვილიშვილი) „სულის ტვირთს“ და „გულის წადიღს“ სოლომონ ლიონიძესთან ამყვანებინებს.

მეფე ნუხს, რომ ძლივს შეაყვარა თავი ქართლის მოსახლეობას (იგი 1744 წლიდან იყო კახეთის, ხოლო 1762 წლიდან, თეიმურაზ მეორის გარდაცვალებიდან – ქართლ-კახეთის მეფე); მას უღალატეს შვილებმა; გაქეზებულია „მაჰმად-ხანის მოსისხლელ სული“, ოსმალო მხოლოდ დროს შემოჰყურებს“, ლეკთა ხმაც არ ცხრება, რომელთა წინააღმდეგაც მეფეს ჰყავდა „მორიგე ჯარი“ უფლისწულ ლევანის სარდლობით. ლევანი გარდაიცვალა, დანარჩენი „ყმანი“ კი „ურთიერთს ბრძარვენ“. მეფე თავს მოხუცებულად მიიჩნევს, ფიქრობს, რომ „განთქმუ-

ლია რუსთა სახელი“, ჩვენ გვაქვს „ერთობა/მტკიცე კავშირი, – სარწმუნოება, –/მას მინდა მივცე მეგვიდრეობა/და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“

განცვიფრებული სოლომონ მსაჯული მეფეს ჰკადრებს: „ჯერ სამავისო რა გვემართება,/რომ განვიწყიდოთ თავისუფლება!“ მას სახელმწიფოების სჯულის ერთობა საკმარისად არ მიაჩნია, შიშობს ერების განსხვავებულ თვისებებსა და რუსეთის სიძლიერეზე.

ერეკლე მეფეს სურს, რომ თავისი სამშობლო ვით „თვისი შვილი/თვის სიცოცხლეში დაასახლკაროს“. მას ედარდება ომ-გამოვლილი თავის მამული და აღნიშნავს: „ახლა კი დროა, სოლომონ, რომა/შვილობა ნახოს საქართველომა“. სოლომონი კი პასუხობს, რომ ქართველს „არად მიაჩნით უბედურება/თუ აქვთთვის ქვერ ქვემ თავისუფლება“. მაგრამ მეფე ერეკლე საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით გრძნობს, „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,/ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“

ჭეშმარიტი ხელოვანი ხალხის გულის მესაიდუმლეა. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ბუნება ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის ფიქრთშესაღავსა; პოეტი პოლიტიკურ ნაბიჯს კამათლების „ამღერებას“ ადარებს, მაგრამ მინც აღნიშნავს, რომ „ბევრჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის/გონება ყრმათა ვერა მიხვდების!“

ნიკოლოზ ბარათაშვილი თვითონ არის უშუალო მონაწილე იმ ეპოქალური ქარტეხილების, რომლებიც რუსეთთან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კავშირს მოჰყვა შედეგად: მეფობის გაუქმება, ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის რუსეთში გადასახლება, ჩახშობილი ლოკალური აჯანყებები და წარუმატებელი 1832 წლის შეთქმულება... პოეტისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველი ქალის პოზიცია ამ მდგომარეობაში. სოლომონ მსაჯული თავის მეუღლეს ამცნობს ერეკლეს გადაწყვეტილებას, უწინასწარმეტყველებს, რომ „დიდაცთა ცოლებს/პეტრეს ქალაქში გარდასახლებენ“, სადაც ექნებათ „განცხრომილება“ და „ფუფუნელება“, რაზეც სოფიო პასუხობს: „უწინადაც დღე კი დამეღევა მე/უცხოობაში რაა სიამე...“ მაგრამ „დიდი ხანია გულს ირაკლისა/გარდუნეცეცთა ბედი ქართლისა.“

რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის თავისუფლებადაკარგული ქვეყნის მხოლოდ წარსულით არ ტკებდა. 1842 წელს დაწერილ ლექსში „სუმბული და მწირი“ აღნიშნავს, რომ „ზამთრით ბუნება არა კვდება, სევდით იმოსვის...“ ზამთარს გაზაფხული მოსდევს...

მარიამ ილურიძე
არასახელმწიფო საერო სკოლა „აღბონის“
ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბედი ქართლისა, ქართული მწერლობა, 9, 1992 წ., გვ.595-608;
2. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართველი მწერლები სკოლაში, წიგნი 2, 2007წ., გვ. 192-198; 207-247;
3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 5, 2012 წ.;
4. საქართველოს ისტორია, 3, 2012 წ.;
5. გიორგი კალანდია, საქართველო ევროპის მონარქთა საომარ გეგმებში, ჟურნ. ისტორიანი, №3 (87), 2018 წ., გვ 35-39.

ძველი ქართული მწერლობის სწავლებისას მასწავლებლისთვის გასათვალისწინებელი ფოკიერითი საკითხი

ქართული ენა სკოლაში არა მარტო სასწავლო საგანია, არამედ სხვა საგანთა შესწავლის საშუალებაც. ის ძველი სამწერლობო ენაა, რომელზეც საუკუნეების მანძილზე შეიქმნა უდიდესი მნიშვნელობის ლიტერატურა.

მშობლიური ენის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას უდიდესი ზოგადსაგანმანათლებლო და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. გაკვეთილზე მასწავლებელი უნდა შეეცადოს, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მიაღწიოს მიზანს. ჩვეულებრივ პრაქტიკაში გავრცელებულია შემდეგი ტიპის გაკვეთილები:

- ახალი მასალის ახსნის;
- მიწოდებული ცოდნის განმტკიცების;
- გამეორების;
- ცოდნის შემონახვის;
- შერეული, კომბინირებული.

მასწავლებელს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ მოახოს ახალი გზები, მეთოდები, რათა მოსწავლეებს მიაწოდოს მეცნიერების სიახლეები. მეთოდის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევს, გონივრულად წარმართოს ქართული ენის სწავლება, დაიცვას საჭირო თანმიმდევრობა მასალის მიწოდებაში, ქართული ენის საკითხების სწავლებისას რაციონალურად გამოიყენოს ენათმეცნიერების, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხები.

X კლასში, ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტების სწავლების დროს („შუმანიკის ნამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „აბო თბილელის ნამება“ და ა.შ.), მოსწავლეებს უგროვდებათ ბევრი „რატომ?“, „რას ნიშნავს...“ ვინაიდან ისინი არ არიან შეჩვეული ძველ ქართულ სიტყვებს და უჭირთ მასალის გაგება, თუ არ გავაცნობთ ძველ ქართულ ენაში მიმდინარე ფონეტიკური თუ მორფოლოგიურ პროცესებს. ამიტომ მასწავლებელმა, ძველი ქართული ტექსტების ახსნის პარალელურად, მათ ენობრივ-გრამატიკული საკითხებიც უნდა მიაწოდოს, რაც ცალკე

აღარ ისწავლება და მოსწავლეთათვის უცნობია. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ავუხსნა მათ ტექსტებში არსებული თავისებურებები და ვავალებ, სხვა ტექსტებშიც მოძებნონ მსგავსი მაგალითები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას.

ვიდრე დავიწყებდე ძველი ქართული ტექსტების სწავლებას, მოსწავლეებს ვესაუბრები ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე, მის საფუძვლებზე, ჩვეულებრივად და მეცნიერებისთვის ცნობილ ქართული ენის ძეგლების ადრინდელ ნიმუშებზე, ვუხსნი, რადენ მნიშვნელოვანია ზურთთმოდგრების ესა თუ ის ძეგლი არა მარტო თავისი არქიტექტურული თვალსაზრისით, არამედ წარწერებითაც. თუ საშუალება გამოიხატა, ვანჭობ ექსკურსიებს ბოლნისის სიონის, ჯვრის მონასტრის მოსახლეობლად. ესეკსკურსია მას შემდეგ ეწყობა, რაც მოსწავლეები გაეცნობიან ქართული დამწერლობის საფუძვლებს, ხანმეტობასა და ჰაემეტობას, კარგად ეცოდინებათ ძველი ქართული (მრგვლოვანი) ანბანი, ხმარებიდან გასული ასოები და მათი მნიშვნელობა, ასევე ასოების რიცხვითი მნიშვნელობა.

მოსწავლეებს ჯერ უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლებს ვაცნობ, შემდეგ მეცნიერთა იმ წერილების შინაარსს, მაგალითად, აკ. შანიძის „ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ X საუკუნის მწერლობაში“, ივ. ჯავახიშვილის „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, ზ. ჭუმბურიძის „ქართული ხელნაწერების კვლადაკვალ“ და სხვ. ძველი ქართული ანბანის გაცნობის შემდეგ, ასოების დამახსოვრების მიზნით, მოსწავლეებს ვავალებ, გადწერონ მცირე მონაკვეთები ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებიდან მრგვლოვანი.

როცა ტექსტებში ასოებით გვხვდება რიცხვითი მნიშვნელობის თარიღები (ჩკყა წელი და მისთ.), მოსწავლეებს ვაცნობ ამ ცხრილს და შემდეგ, საკუთარი სურვილითა და ერთმანეთის გა-

მოცდით, ითვისებენ სიახლეს. ტექსტების შესწავლისას ვუკითხავ ადგილებს და ვთხოვ, დააკვირდნენ, რომელი შესწავლილი გრამატიკული საკითხი ჩანს მათში.

X კლასში მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ ძველი ქართული ენის ბგერითი შედგენილობა, ე.წ. „ხმარებიანი და გასული ასოები“. ვესაუბროთ დიფთონგებზე, რომლებსაც ისინი უცხო ენებიდან იცნობენ, დიფთონგულ სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ გვხვდება ეს ბგერები და შეიძლება მოსწავლეთათვის ცოტა გაუგებარი გახდეს. ავუხსნი, რომ „დიფთონგი“ არის ორი ბგერის სინთეზი. შემდეგ კი თვითონვე გაიხსენებენ ტექსტებიდან მსგავს სიტყვებს.

„ხმარებიანი და გასული ასოები“ შესწავლის შემდეგ, სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ სტატია „ხმარებიანი და გასული ასოები“ (ქართული ენის ისტორიისათვის, მ. ძიძიშვილის „ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში“).

საინტერესოა, მოსწავლეებმა ცოტა რამ მაინც იცოდნენ ქარაგმების შესახებ, თუ რამ განაპირობა სიტყვათა შემოკლებით წერა – სანერი მასალის სიძვირისა და დროის უქონლობის გამო, ხშირად ცდილობდნენ, სიტყვა სრულად არ დაეწერათ. შემოკლებულად დაწერილ სიტყვებს საგანგებო ნიშანი უკეთდებოდა ზემოდან, რომელსაც ძველ საქართველოში „ქარაგმას“ უწოდებდნენ. ქარაგმა პირველად აღნიშნული აქვს მიაქვალ-მოდრეკილს თავის ცნობილ ხელნაწერში, რომელიც X საუკუნის I ნახევარს ეკუთვნის. ანდერძში ლაპარაკია: „ბერძნულნი და ქართულნი ყოვლითა განეგებთა სრულნი დავწერენ წმიდასა აპას შინაწიგნსა და ესრეთ განვანესე თავით თუისით უმკობეს ეხად უმორჩილესად სიგლახაკითა ჩემისათა, რამეთუ ყოველსა ხმასა პირველ უფალო ღალადყავის“ ძლისპირნი დავწერენ. შემდგომად გალობისა, თუინიერ ქარაგმითა...“ თითქოს ეს ნიშნავს, მე ქარაგმულად არ დამიწერია ტექსტები, მაგრამ მის ძლისპირებში ქარაგმა იშვიათია, ე.ი. ხშირი ხმარება ამ ტერ-

ლიტერატურის სწავლებისათვის

მინისა არ ჩანს. საბას ლექსიკონში ამ სიტყვას განზოგადებული მნიშვნელობა არ აქვს. საბასთან „ქარაგმა არის ყოველგვარი ნიშანი, რომელიც შეიძლება სიტყვას გაუკეთდეს ზევიდან“.

საბას შემდეგ, ამ ტერმინისა და ქარაგმების წესებზე საუბარია ანტონის გრამატიკაში. აქ ოთხგვარი ქარაგმა გამოყენებული: 1. საუფლო; 2. სამთავრული; 3. საყოფადო; 4. სახმოვანო.

როდესაც მოსწავლეები გაერკვევიან ყველა ტიპის ქარაგმაში, მათთან ძველი ქართული ქარაგმიანი ტექსტები მიმაქვს (სურვილისამებრ) და ჩემი დახმარებით შიფრავენ ნაწერს. ვე-საუბრები იმ მკვლევართა შესახებაც, რომელთაც განსხვავებული აზრი აქვთ დაქარაგმებზე – ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დაქარაგმების წესებით ძველი ქართულის სიტყვები ბერძნულს არ მიჰყვება, ზოგის აზრით კი – მიჰყვება. მოსწავლეებსაც უჩნდებათ საკუთარი აზრი, რაც ცხადია, მოკლებულია მეცნიერულ დასაბუთებას, მაგრამ ჩემთვის მთავარია, ვინ როგორ გაიგო ეს საკითხი.

ძველი ქართული ტექსტების შესწავლისას გვერდს ვერ ავუვლით მორფოლოგიის საკითხებს. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ ფორმაცვლებად სახელთა ბრუნება, ბრუნების ტიპები და თავისებურებანი. ამასთან, მათ შევასხენებ, რომ ძველ ქართულში იყო რვა ბრუნვა, დღევანდელ ბრუნვებს ემატებოდა წარწელობითი, სადაც სახელი ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. მოსწავლეებს უნდა მივანოვოთ დამატებითი ცნობა, თუ რა კამათი იყო მეცნიერთა შორის ბრუნვათა სისტემის შესახებ, რომ ზოგიერთ ბრუნვას ადრე სხვა სახელი ჰქონდა და იყო სხვა ბრუნვებიც, გავაცნოთ ბრუნვების სახელების წარმოშობის ისტორია, კერძოდ, ავუსხსნათ, რომ:

წრფელობითი – სახელობითის ვარიანტია, რომელიც განუსაზღვრელი ფორმით შეიძლება იყოს ან -ი ბრუნვის ნიშნით

განსაზღვრელი ფორმით. ამიტომ აკ. შანიძე წრფელობითს „განუსაზღვრელ სახელობითს“ უწოდებს. ტერმინი „საწრფელი“ ზურაბ შანშოვიანიდან მოდის, მერე ანტონის აქვს ნახმარი, ორივე ავტორი „სახელობითის“ მნიშვნელობით ხმარობდა და „შემახმენლობით ბრუნვასაც“ უწოდებდნენ.

სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების თავისებურებანი, კერძოდ, როცა ისინი საკუთარ სახელთა ბრუნებას შეისწავლიან, ავუსხსნით, რომ ბრუნვა ნაკლები პარადიგმისაა, ერთი ფორმა გამოიყენება რამდენიმე ბრუნვის ფუნქციით. წრფელობითის გარდა, სახელობითი, მოთხრობითი, წოდებითი არის უნიშნო. სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები საკუთარ სახელებს არ აქვთ, რაც მიანიშნებს ამ ბრუნვების გვიანდელობაზე (დავით მოვიდა – სახელობითი ბრუნვა, დავით სთქვა – მოთხრობითი ბრუნვა). მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, ფაქტობრივად, არ აქვთ (დავით-ით, დავით-ად), მათ ვეცლად გამოყენებულია სხვა ფორმები (დავით-ის-ით, დავით-ის-ად). საკუთარ სახელებს მრავლობითის ფორმა არ აქვთ, არის ძველქართულში გამოწაკლისი შემთხვევები, როცა მრავლობით რიცხვს აწარმოებს ეთ-ი (მარიამი-მარიამ-ეთ-ი, პავლე-პავლე-ეთი).

როცა მოსწავლეები გაცნობიან ზმნას, შევასწავლით პირისა და რიცხვის ნიშნებს, ავუსხსნით, თუ რა მსგავსება-განსხვავებაა ამ მხრივ ძველ და ახალ ქართულს შორის. სუბიექტური პირის ნიშნების შესწავლისას სასურველია, ავუსხსნათ, რომ მე-3 სუბიექტურ პირში, გარდა -ს, -ა, -ო ბოლოსართებისა, ძველ ქართულში გვქონდა -ნ და -დ ბოლოსართებიც. მოვეუყვანთ სათანადო მაგალითებს: წერდინ! წერენ! – ბრძანებითის ფორმა, დადუმენდე! ჰვიდე! ჰთიდე! –კავშირებითის მწკრივებში.

რაც შეეხება ობიექტურ პირს, მოსწავლეთათვის უცნობია მრავლობითი რიცხვის პირველ პირში გუ- პრეფიქსის (გვ-) არსებობა. მოსწავლეებს ვუხსნით, რომ, ვ. თოფურიას აზრით, ეს არის იგივე გვ- პრეფიქსი, რომელშიც გაერთიანებულია პირველი და მეორე პირის შინაარსი. ამის ნიშნუშია ძველი ქართული სიტყვა „გვესი“ (მხატვარი).

ზმნისნიშნების შესწავლისას, სასურველია, მოსწავლეებს ამოვანერინოთ ტექსტებიდან ახალ ქართულში ხმარებული ზმნისნიშნები, შემდეგ ვთხოვოთ, გაიხსენონ, რომელი ზმნისნიშნები გვქონდა მათ ნაცვლად ძველ ქართულში და რომელი სიტყვები გვხვდება ახლა ზმნისნიშნის ძველი ფორმით (ალმართვა, განახლება, მთავონება, წარმოსახვა...). ჩვენი დახმარებით გაიხსენებენ მოსწავლეები ზმნისნიშნის ფუნქციებს.

მორფოლოგიის საკითხების გაცნობის შემდეგ, მოსწავლეებს ვამუშავებთ სინტაქსის საკითხებზეც, რაც არ უნდა გაუჭირდეთ, რადგან ძველი და ახალი ქართულის სინტაქსი დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მოსწავლეებს უკვე გარკვეული წარმოდგენა შეექმნებათ ძველი ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე და ტექსტებზე დაყრდნობით შეძლებენ თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენებას.

ჩემი აზრით, თუკი მოსწავლე შეგნებულად მოეკიდება ახალ მასალას და ენის ისტორიის განვითარების საკითხების შესწავლას, იგი თავისუფლად შეძლებს, მასწავლებელთან ერთად, ისაუბროს ამა თუ იმ საკითხზე და პრაქტიკულად განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა გაკვეთილზე.

ელისო ბაბათაშვილი
თბილისის №76 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

„ბრივოლ ხანძთელის სხოვრების“ სწავლების თავისებურებანი და სასწავლო აქტივობები

უამრავი „ბრივოლი საკვირველი“ გადახდენია ჩვენს ერს და მიუხედავად სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დამარცხებისა, ალგეთს გაზრდილი ლეკები არასოდეს გამოლევია. ქართველი ერი ქრისტეს სახელსა თუ სამშობლოსთვის ყოველთვის მზად იყო გაენირა მთავარი – სიცოცხლე! ყველა ეპოქას თავისი დიდი გმირი თუ წმინდანი ჰყავდა, რომელიც ხშირად მთელი ქვეყნის გადარჩენის უპირობო ობიექტი იყო.

მე-7 საუკუნეში მურვან-ყრუსაგან მოხრებულ კლარჯეთი გაუღდაბურებული იყო. ამოტ კურაპალატი ქართლიდან კლარჯეთს ჩავიდა. წმინდა მეფის, ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული არტანუჯი სატახტო ქალაქად გამოცხადდა და დაიწყო ძალთა შეკრება საქართველოს გაერთიანებისათვის.

ამ დროს კიდევ ერთი ღვთის სულიერი კაცი ჩავიდა კლარჯეთში – ლირსი მამა გრიგოლ ხანძთელი. საქართველოს „სინად“ წოდებული ტაო-კლარჯეთი იყო ის მხარე, სადაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნის მთლიანობის იდეას. იქ არსებული ეკლესია-მონასტრები კი გრანდიოზულ, კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეით განმსჭვალული ბერი მოღვაწეობას ხანძთიდან იწყებს. დიდი სულიერი და ფიზიკური ძალისხმევით ფსადდ იგი სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებელი ხდება ტაო-კლარჯეთში.

წანარმოების ავტორი არა თუ გადმოგვცემს რეალურ ვითარებას საეკლესიო და საერო ხელისუფალთა ურთიერთობის შესახებ, არამედ ამუღავნებს კიდევ სიმპათიას მის მიერ აღწერილი მოვლენებისადმი. ტექსტის მიხედვით, სახელმწიფოში წამყვანი უნდა იყოს ეკლესია, რომლის საქმეებში საერო ხელისუფლებაც არ უნდა ჩაეროს. ეკლესიის მსახური და საერთოდ ეკლესია არ უნდა ექვემდებარებოდეს საერო ხელისუფლებას. „დიდებულო მეფეო, შენ ქვეყანის ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქვეყნისა და ქვესკნელისაი, შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაი, შენ წარმავლსა ამა ჟამსა მეფე ხარ, ხოლო ქრისტეი საუკუნო მეფე“ (საბა იშხნელი).

„ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქვეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიან“ (გრიგოლ ხანძთელი).

აღნიშნულ წანარმოებში, ეკლესია-მონასტრების შინაგან მმართველობაში მტკიცედ განსაზღვრული იერარქიული დაქვემდებარება არსებობდა და ამ გარემოებას ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს!

გრიგოლის აზრით, მეფე უნდა იყოს ეკლესიისა და ქრისტიანობის დამცველი, სამხედრო საქმის მცოდნე, კარგი მეომარი. ეკლესიის მსახურთ კი ევალებათ მხარში ამოუდგნენ ძლიერსა და ქრისტიანობისთვის მებრძოლ მეფეს.

ტექსტში ისეთი იდეაა გატარებული, რომ მეფეები, მთავრები დიდ დახმარებას უწევდნენ ეკლესია-მონასტრებს. სამაგიეროდ, თავის მხრივ, ეკლესია-მონასტრების წარმომადგენლებიც ადიდებენ მათ. გიორგი მერჩულეს გადმოცემით გრიგოლი ადიდებს ამოტ-კურაპალატს, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს. გრიგოლის სიტყვებით, მეფის ხელისუფლება ღვთისგანაა გაჩენილი, ამასთან, ამოტ კურაპალატის ხელისუფლების სიმტკიცეს გრიგოლი ამოტის ზიბოლიური წარმოშობითაც ასაბუთებს: ამოტის გვარი დავით წინასწარმეტყველიდან მომდინარეობს, მაშასადამე, ეკლესია მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს საერო ხელისუფლებას.

გიორგი მერჩულეს აზრით, ეკლესიას თავისი მმართველობა აქვს, სახელმწიფოს – თავისი. შინაურ საქმეებში ჩაურევლობა უნდა იყოს მათი თანაარსებობის საფუძველი, მაგრამ ამ თანაარსებობაში ზოგიერთ გამოწაკლის მაინც უშვებს ეკლესიის სასარგებლოდ. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი ჩაერია კურა-

პალატის საოჯახო საქმეებში, ამხილა ხელმწიფე, რომელსაც „სიძვის დიაცი“ ჰყავდა.

ფეოდალიზმის დროს ეკლესია საოჯახო საქმეებში, ქორწინების საკითხებში გულმოდგინედ ერეოდა. ვახტანგის სამართლის ნიგნის მიხედვით, საოჯახო საკითხებზე კათალიკოსსაც მიუხედავებოდა ხელი. გიორგი მერჩულეს აზრით, საერო ხელისუფლება მარცხდება ეკლესიის წარმომადგენლებთან კამათის დროს. სასულიერო პირის მოქმედება მუდამ გამართლებულია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ სწავლების ერთ-ერთ თავისებურებად მიმაჩნია საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობა, რადგან ამ საკითხის გარეშე მოსწავლეებს გაუჭირდებათ ტექსტის სრულყოფილად გაგება-გაანალიზება. ამ მხრივ საინტერესოა რა ურთიერთობას ამყარებენ გრიგოლი და მისი ძმები ამოტთან, მისი ოჯახის წევრებთან, აფხაზთა მეფე დემეტრესთან, ან თუნდაც გაბრიელ დაფანჩულთან. მაშინ როდესაც გრიგოლი კურაპალატს ოჯახში წვდოა, „ფეხზე წამოუდგინენ“ და დალოცვაც სთხოვენ. როდესაც საბა იშხნელი თავისთან იხმო ბაგრატ კურაპალატმა, საბა არ მივიდა. ჯვავხეთის საეკლესიო კრებაზე კი გრიგოლი საყვედურებს გუარამ მამფალს. ცხადია, ჩანს, სასულიერო პირები ერევიან საერთოა ურთიერთობაში, ხოლო თავად მამები მკაცრად აკონტროლებენ, ერისკაცები არ ჩაერიონ სასულიეროთა საქმეში, მიუხედავად ამისა, ისინი დიდ დახმარებას უწევენ ბერებს.

საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობის სწავლებისას ჩნდება პრობლემა, მოსწავლეები ვერ იგებენ რატომ უნდა ჩაერეულიყო გრიგოლი ამოტის ცხოვრებაში? ის ხომ ხელმწიფე იყო? რატომ არ მიდის საბა ბაგრატის მიწვევით ან თუკი თვითონ ერეოდნენ, რატომ უკრძალავდნენ ერისკაცებს თავიანთ ცხოვრებაში ჩარევას? მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი სიყვარული და პატივისცემა იყო.

ამ კითხვების გაჩენა გამოწვეულია ტექსტის ზედაპირული ცოდნითა და გააზრებით. ისინი მიიჩნევენ, რომ სასულიერო პირები მხოლოდ ეკლესია-მონასტრების აღორძინება-განვითარებაზე უნდა ზრუნავდნენ და ვერ აღიქვამენ, რომ მათ ქვეყნის განვითარებაც ევალებათ. ისინი ვერ ხვდებიან, რომ გრიგოლის სიმკაცრე არ ნიშნავს მის ამპარტყენებას. გრიგოლმა იცის, როგორიც არის მეფე, ისეთი იქნება ერიც. ამიტომ ფიქრობს ამოტის ზნეობასა და მორალზე. მოსწავლეები ვერ ხატავენ გრიგოლის ავტორიტეტსა და დამსახურებას.

პირველი ნაწილი ვერ იგებენ

1. სიღრმისეულად ვერ აანალიზებენ.
2. ზედაპირულად იაზრებენ.

მეორე ნაწილი რა მიზეზით ვერ იგებენ

1. კონკრეტული საკითხები არ იციან.
2. ისტორია არ იციან.
3. რელიგია-ეპოქა არ იციან.

ამ ტექსტის გაგებისა და გააზრებისას მოსწავლეები შეიძლება წააწყდნენ შემდეგ პრობლემას – მათ უჭირთ ძველი ქართულის გაგება. მიზეზი შეიძლება იყოს:

1. გამოცდილების უქონლობა – აქამდე მსგავს საკითხებზე არ უმუშავიათ.
2. ისტორიული კონტექსტის – ფაქტების, მოვლენების უცოდინრობა.
3. სიმბოლოებისა და მხატვრული სახეების ამოცნობის უუნარობა.
4. მწერლის ენის სირთულე.
5. ლიტერატურული მიმდინარეობების პრინციპების აღქმა.

ამ პრობლემის დაძლევაში დაამხმარება შემდეგი აქტივობები:

1. გამოვიყენებ ასოციაციურ რუკას, მუშაობაში ჩაერთვებითა და მთელ კლასს.

რა შეიძლება გავგახსენდეს გრიგოლ ხანძთელის სახელის

გაგებისას?!

წმინდა მამა გრიგოლი

1. უდაბნო;
2. მონაფეხები;
3. არაბები;
4. ტაო-კლარჯეთი;
5. მონასტრების მშენებლობა;
6. სამონასტრო ცხოვრება;
7. საეკლესიო კრება;
8. გიორგი მერჩულე;
9. ხანძთის მონასტერი;
10. პოლიტიკური მდგომარეობა;
11. პატრიოტიზმი;
12. შესანიშნავი მჭევრმეტყველი.

ჩემ მიერ აღწერილი ქმედება დამხმარება, მოსწავლეებს დავანახო გრიგოლის პიროვნება, მისი როლი და დამსახურება საერო თუ სასულიერო პირთა ცხოვრებაში.

2. ჯგუფური მუშაობა და T დიაგრამის გამოყენება

კლასს გავყოფ ჯგუფებად. ერთ ჯგუფს ვთხოვ, მოძებნონ ტექსტში ეპიზოდები, რომელშიც ჩანს ამოტისა და გრიგოლის ურთიერთობა, მეორე ჯგუფმა – გრიგოლისა და გაბრიელ დაფანჩულის ურთიერთობა, მესამემ – გრიგოლისა და გუარამ მამფალის (ჯვავხეთის კრება), მეოთხემ კი – საბასა და ბაგრატის. შემდეგ ვთხოვ T დიაგრამის ერთ სვეტში ჩაწერონ მითითებული ეპიზოდებიდან ციტატები, რომელიც ამ ურთიერთობას ასახავს და მეორე სვეტში მიუხედავად თავიანთი კომენტარი. პრეზენტაციისას წამოვანვიგებ იმ საკითხებს, რომლებშიც კარგად ჩანს საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობა. გრიგოლის როლი როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა ცხოვრებაში. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის“ შესწავლის შემდეგ დავავალბე შექმნან ბროშურა „გრიგოლ ხანძთელის“ ნაკვალევზე. მოვანყობ ექსკურსიას ტაო-კლარჯეთში. მოსწავლეები თავად ჩაატარებენ გამოკვლევას, მოიძიებენ ინფორმაციას წმინდა გრიგოლის მიერ ამწინებულ ტაძრებზე.

3. წერიტი დავალება

დავავალბები მოსწავლეებს დაენერათ ესე – არის თუ არა წარმატებული ქვეყნის საწინდარი სასულიერო და საერო პირთა შეთანხმებული ურთიერთობა!

ვფიქრობ, ასეთი აქტივობები მოსწავლეებს დამოუკიდებლად ფიქრისა და ანალიტიკური უნარების გამოყენებას აჩვენებს, უფიქრობს კრიტიკული აზროვნების უნარს. უზრდის მოტივაციას მეტი ძალისხმევა მოანდომონ სწავლას და გამოიყენონ სწავლის სხვადასხვა სტრატეგია. მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ აღწერილი მეთოდი დამხმარება დავაძლევინო პრობლემა, დავანახო და გავანალიზებინო თუ რატომ ერევიან მამები ერისკაცთა ცხოვრებაში, ხოლო თავიანთ ცხოვრებაში ჩარევას მკაცრად უკრძალავენ. ასეთი ტიპის აქტივობები მოსწავლეებში არა მარტო სახალისოს გახდის ტექსტზე მუშაობას, არამედ გამოიწვევს ინტერესს. ბავშვებისგან წამოსული წინადადებები ღრმამინაარსიანი იქნება და მათ შემდეგ გაკვეთილზე სადისკუსიოდ გამოვიყენებ.

ინოო ჯალაღონია
თბილისის კერძო სკოლა „აისის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954წ.
2. გიორგი მერჩულე, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, 1949წ.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., 1965წ.

სამოქალაქო გაკვეთილი

გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა

გაკვეთილის თემა: „გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა“

სამოქალაქო გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

სწავლების საფეხური და კლასი: საბაზო/IX კლასი (20 მოსწავლე)

სამუშაოს ეტაპები: ერთი გაკვეთილი (45 წთ)

ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია: ნატა ბიჭიკაშვილი

გაკვეთილის მიზნები და მისაღწევი შედეგები:

შესაბამისობა სტანდარტთან:
ბიოლ. IX.9. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს გარემო ფაქტორების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

წინარე ცოდნა: გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორები, მათი უარყოფითი გავლენა ბუნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სასწავლო რესურსები: ბიოლოგიის სახელმძღვანელო, პროექტორი, კომპიუტერი, თაბახის ფურცლები, ფორმატის ფურცლები, მარკერები, წინასწარ მომზადებული ბარათები (ტექსტები) ჯგუფური მუშაობისთვის.

გაკვეთილის თემა

გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა

მიზანი: გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები შეძლებენ იმსჯელონ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების შედეგებზე, რისკებზე, დაასახელებენ შესაბამის მაგალითებს, დაასაბუთებენ დაბინძურების უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, იმსჯელონ პრობლემის თავიდან აცილების გზების შესახებ.

მისაღწევი შედეგები: მოსწავლეს შეუძლია დაასახელოს გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორები, იმსჯელოს დაბინძურების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე, იმსჯელოს პრობლემის თავიდან აცილების გზების შესახებ.

ინდიკატორები: ანალიზებს გარემოს დაბინძურების უარყოფით შედეგებს, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები, იმსჯელოს პრობლემის თავიდან აცილების გზების შესახებ, გამოთქვამს მოსაზრებებს, გამოაქვს შესაბამისი დასკვნები.

სწავლების სტრატეგიები: განწყობის შექმნა, ინფორმაციის გახსენება, შეჯამება, დასკვნების გამოტანა; ისტ-ის გამოყენება; თანამშრომლობითი სწავლება, საკუთარი აზრის დაფიქსირება; საკლასო დისკუსია, ლექცია, ასოციაციური რუკის შექმნა.

შეფასება: განმავითარებელი (ჯგუფური მუშაობის შეფასება) **ჯგუფური მუშაობის შეფასება**

- ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია
- ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს
- ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)
- ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეთებს დასკვნებს

- ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს
- ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს

გაკვეთილის სცენარი

შესავალი: მოსწავლეებისთვის გაკვეთილის თემის და გეგმის წარდგენა (2 წთ)

A ფაზა. აქტივობა 1 – გამოწვევა როგორ აბინძურებს ადამიანი გარემოს?

B ფაზა. შინაარსის რეალიზება

აქტივობა 2

ჯგუფური მუშაობა – ტექსტის დამუშავება და პრეზენტაციების მომზადება (15 წუთი)

მოსწავლეები დაიყოფიან 3 ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ექნება წინასწარ მომზადებული ტექსტები:

ჯგუფი 1 (წყლის დაბინძურება)

დაბინძურება – დაბინძურებული ნივთიერებების შემოტანა ბუნებრივ გარემოში, რომელიც იწვევს ცვალებადობას, არეულობას, ზიანს ან დისკომფორტს ფიზიკურ სისტემებსა თუ ცოცხალ ორგანიზმებში. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ქერქის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული, მტკნარი წყლის მარაგი ბევრი არ არის. მყავთური ნივთები ტვებასა და მდინარეებს აბინძურებს, თუმცა წყლის დაბინძურების მიზეზი მხოლოდ ეს არაა. არსებობს ქალაქები, სადაც მდინარესა და ზღვაში დღესაც ჩაედინება ბინძური წყლები, ხოლო ქარხანა-ფაბრიკებიდან – მომწამლავე ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენები, რის შედეგადაც თევზები და წყლის მცენარეები იხოცება. სოფლის მეურნეობაში ხშირად იყენებენ ქიმიურ სასუქებსა და პესტიციდებს, რომლებიც ძლიერი ნივთის შედეგად შეიძლება მდინარეში ჩაირეცხოს. ზღვას ძლიერ აბინძურებს ტანკერებიდან და ნავთობის კოშკურებიდან ჩაღვრილი ნავთობი.

- 1. რა იწვევს დაბინძურებას?
- 2. რა უარყოფითი შედეგი მოყვება ამა თუ იმ დაბინძურებას?
- 3. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

ჯგუფი 2 (ნიადაგის დაბინძურება)

დაბინძურება – დაბინძურებული ნივთიერებების შემოტანა ბუნებრივ გარემოში, რომელიც იწვევს ცვალებადობას, არეულობას, ზიანს ან დისკომფორტს ფიზიკურ სისტემებსა თუ ცოცხალ ორგანიზმებში. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს. გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი ფორმა საყოფაცხოვრებო ნაგვის დაყრაა, თუმცა გაცილებით უფრო სერიოზულ ზიანს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სანარჩენო საქმიანობისა და სატრანსპორტო საშუალებათა მოქმედების ნარჩენი პროდუქტები იწვევს, რომლებიც ჰაერსაც აბინძურებს, წყალსაც და ნიადაგსაც. სოფლის მეურნეობაში ხშირად იყენებენ ქიმიურ სასუქებსა და პესტიციდებს, რომლებიც ძლიერ ნივთის შედეგად შეიძლება მდინა-

რეში ჩაირეცხოს. ნიადაგში ჭარბი რაოდენობით სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების გამოყენება იწვევს ამ ნივთიერებების მცენარეებში მოხვედრას, ფესვების საშუალებით, რაც ხშირად იწვევს ადამიანებში ძლიერ მონამვლას.

- 1. რა იწვევს დაბინძურებას?
- 2. რა უარყოფითი შედეგი მოყვება ამა თუ იმ დაბინძურებას?
- 3. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

ჯგუფი 3 (ატმოსფეროს დაბინძურება)

დაბინძურება – დაბინძურებული ნივთიერებების შემოტანა ბუნებრივ გარემოში, რომელიც იწვევს ცვალებადობას, არეულობას, ზიანს ან დისკომფორტს ფიზიკურ სისტემებსა თუ ცოცხალ ორგანიზმებში. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს.

ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები და ავტომანქანები უამრავ ნარჩენს აირს, ჭვარტლასა და მტკვრს გამოყოფს ჰაერში. დაბინძურებული ჰაერი ადამიანს და სხვა ცოცხალ არსებას ფილტვებს უზიანებს. ჰაერის ზოგიერთი სახის დაბინძურებამ შეიძლება გონებასაც კი ავნოს. ჰაერში ნარჩენი აირების დაგროვება მყავთურ ნივთებს იწვევს, რომლებიც ხეებს, ტვებას, მდინარეებსა და შენობებსაც კი აზიანებს. ოზონი აირია, რომელიც ატმოსფეროს ზედა ფენებში ბუნებრივად წარმოიქმნება უანგბადისაგან. დედამიწას ოზონის თხელი ფენა იცავს მზის ულტრაიისფერი მავნე სხივების ზემოქმედებისაგან. ოზონის ფენას სანავის წვით წარმოქმნილი აირები და ფრეონი ანადგურებს, რომელსაც მაცივრები და აეროზოლები შეიცავს. თუ ოზონის ძირითადი ფენა დაზიანდება, კანის კბოთი დაავადების შემთხვევები მოიმატებს. სათბურის აირები (ნახშირორჟანგი, მეთანი და სხვ.) აკავებს მზის სითბოს დედამიწის ზედაპირთან და უკან ალარ უშვებს. სათბურის ეფექტი იზრდება ატმოსფეროში სათბურის აირების ზრდასთან ერთად:

ატმოსფეროს დაბინძურებას ნახშირორჟანგით, აზოტისა და გოგირდის ოქსიდებით გლობალური დათბობისკენ მივყავართ.

- 1. რა იწვევს დაბინძურებას?
- 2. რა უარყოფითი შედეგი მოყვება ამა თუ იმ დაბინძურებას?
- 3. როგორ მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

პრაქტიკული მუშაობა (15 წუთი)

აქტივობა 3 – საკლასო დისკუსია თემაზე „პრობლემის თავიდან აცილების გზები“ (10 წუთი)
აქტივობა 4 – შეჯამება (რეფლექსია)

რა იყო გაკვეთილზე საინტერესო, ახალი, რის გაგებას ისურვებდით მომავალში? (3 წუთი)

დამატებითი აქტივობა იმ შემთხვევისთვის, თუ მოსწავლემ მა დროზე ადრე დაასრულეს მუშაობა.

მსჯელობა ნაგავსაყრელების შესახებ.

ნატა ბიჭიკაშვილი

ბიოლოგიის მენტორი მასწავლებელი, ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა – „თბილისი“

სასკოლო აქტივობა

ეკოკლუბები რაჭაში

არასამთავრობო ასოციაცია „ზეკარმა“ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) მიერ დაფინანსებული პროექტის – „ადგილობრივი თემების თანამონაწილეობა რაჭის ეროზიული ფერდობების აღდგენაში“ – ფარგლებში შეიმუშავა მოდული, რომელიც გეოგ-

რაფიის და ბიოლოგიის მასწავლებლების გადამზადებას ითვალისწინებდა. შეიმუშავებული მოდულის მიხედვით ჩატარდა ტრენინგი და პროექტის სამიზნე შვიდ თემში აქტიურად ამუშავდა სასკოლო ეკოკლუბები.

ეთერ ჩიკვილაძე, ონის მუნიციპალიტეტის შეუზნის საჯარო სკოლის დირექტორი: „ჩვენს სკოლაში ყოველთვის აქტიური ეკოკლუბები ფუნქციონირებდა. ასოციაცია „ზეკარმა“ მიერ დაფინანსებული ეკოკლუბის ღირსება ისაა, რომ მოსწავლეები თეორიულად გაეცნენ ეროზიის შეჩერებაში ანტიეროზიული მცენარეების როლს და შემდეგ, შეუზნის შიდასოფლო გზის განხორციელების ფერდობებზე გააზრებულად დარგეს ანტიეროზიული მცენარეები. მათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გაუჩნდათ ამ ნარგავების მიმართ, ზაფხულის ცხელ დღეებში მორწყავდნენ ნარგავებს. გავა წლები და მათ მიერ დარგული ხეების ხეივანი სოფელს დაამშვენებს. წლებიდან ეკოკლუბი სოფლის ეკოლოგიური პრობლემის შესწავლასა და გადაჭრაზე იყო ორიენტირებული, რისთვისაც მადლობას ვუხდით დონორებს და ტრენერს, ქალბატონ ეკა სლოვინსკის.“

მაკა ვანაძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭრებალოს საჯარო სკოლის დირექტორი: „ჩვენი სკოლა ყოველთვის აქტიურადაა ჩართული თემის ცხოვრებაში და თემიც ჩვენი მხარდამჭერია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა პრაქტიკულად ისწავლონ იმ ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება, რაც ტრადიციულად აქტუალურია ჭრებალოს თემში შემავალ სოფლებში. ჭრებალოს ეკოკლუბის წევრებისთვის 29 მარტი, მართლაც მნიშვნელოვანი დღეა. ისინი ეკოკლუბში მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად გამოიყენებენ და მონაწილეობას მიიღებენ ეროზიული ფერდობის აღდგენაში, რაც მხოლოდ ხეების დარგვას არ გულისხმობს.“

ეკა სლოვინსკი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი: „ეკოკლუბების მოდულზე მუშაობისას მნიშვნელოვანი იყო გამეთვალისწინებინა, რომ ონის და ამბროლაურის სკოლების ეკოკლუბებში, მოსწავლეებს, ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიის ძირითად საკითხებთან ერთად, შეესწავლათ რაჭისთვის ტიპური ეკოლოგიური პრობლემის – ეროზიის გამომწვევი მიზეზები და ეროზიული ფერდობის აღდგენის ტრადიციული მოდელი. მოდულის მთავარი ღირსება ისაა, რომ ის გარემოსდაცვით აქტივობაში მოსწავლეთა



გააზრებულ მონაწილეობას გულისხმობს. დღეიდან ისინი თემში ამ ცოდნის აქტიური მატარებლები იქნებიან და საჭიროებისამებრ შეეძლებათ მისი გამოყენება. მინდა, მადლობა გადავუხადო დონორს ამ პროექტის დაფინანსებისთვის და ონის და ამბროლაურის სკოლების ბიოლოგიის და გეოგრაფიის მასწავლებლებს ტრენინგში აქტიური ჩართვისთვის.“

ბორის ყავლაშვილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ლიხეთის თემის გამგებელი: „ეროზია და მენყერი ჩვენს თემში შემავალი ყველა სოფლის პრობლემაა. როდესაც ფერდობის შერყევაზე ვფიქრობდით, მოსახლეობამ პრიორიტეტი სოფელ ლიხეთში იმ ეროზიული ფერდობს მიანიჭა, რომელიც საფრთხეს უქმნის შიდასოფლო გზას და სოფლის სასაფლაოს. ფერდობის აღდგენის პროცესში ლიხეთის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დაგვეხმარნენ. მოზარდების საუბრიდან ჩანდა, კარგად იცოდნენ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფერდობზე მალალი მთის ნეკერჩხლის, ქაცვის, თრიმლის, აკაციის დარგვას და იცოდნენ ინვაზიური მცენარის, პავლონიის შესახებაც. ჩვენი თემისთვის ამ პროექტს ორმაგი დატვირთვა აქვს, ერთი რომ პრაქტიკულად აღდგა ფერდობი და მეორე, ვისწავლეთ აღდგენის ეს მოდელი.“

მაკა ყიფიანი

სამოღელო გაკვეთილი

მათემატიკის სამოღელო გაკვეთილი

ყველა მასწავლებლის მოვალეობაა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. ახალი სქემის მიხედვით განისაზღვრა მასწავლებლის ოთხი კატეგორია: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. სქემის მიხედვით მოცემულია თითოეული კატეგორიის მასწავლებლისათვის შესასრულებელი ძირითადი და დამატებითი აქტივობები, რაც ხელს უწყობს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას. მინდა, შევეხო წამყვანი მასწავლებლის ერთ-ერთ აქტივობას – სამოღელო გაკვეთილს. მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები, მიზნობრივობით, ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ გაკვეთილებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც არა მხოლოდ მოსწავლეების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არამედ პედაგოგიური თვალსაზრისით ინოვაციურია და კოლეგებისათვის სასარგებლო. სქემის უპირველესი მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გზით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა. სწორედ ამიტომ განისაზღვრა წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობად სამოღელო გაკვეთილის ჩატარება. სამოღელო გაკვეთილი შეიძლება იყოს: 1. ინტეგრირებული გაკვეთილი; 2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი; 3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული; 4. ინოვაციური გაკვეთილი. მინდა თქვენც ყურადღება შევაჩერო პრობლემაზე ორიენტირებულ სამოღელო გაკვეთილზე მათემატიკაში.

ჩემ მიერ დაგეგმილი გაკვეთილი ჩავატარე ევროპულ სკოლაში. გაკვეთილის დეტალებზე საუბრის დაწყებამდე, მინდა შევეხო გაკვეთილის ჩატარებამდე ზოგიერთ რეკომენდაციას. პრობლემაზე ორიენტირებული სამოღელო გაკვეთილის რეკომენდაციებიდან მინდა გამოვყო შემდეგი:

- სწავლის პროცესი უნდა დაიწყოს პრობლემის განხილვით. პრობლემა უნდა იყოს მოსწავლეებისათვის აქტუალური.
- პრობლემური ამოცანის შინაარსი მოსწავლეებში უნდა აღძრავდეს ინტერესს.
- პრობლემური სიტუაცია არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ მოსწავლეებს უკარგავდეს მისი გადაჭრის სურვილს და არც ზედმეტად მარტივი.
- პრობლემები უნდა შეესაბამებოდეს რეალობას და იძლეოდეს ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრირების შესაძლებლობას.
- პრობლემა ფოკუსირებული უნდა იყოს ერთ საკითხზე.
- მოსწავლეებს უნდა მიეცეს საკმარისი დრო, რომ შეძლონ პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა. ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, დავგეგმე და ჩავატარე პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სამოღელო გაკვეთილი.

კლასი: IX

თემა: მათემატიკის გამოყენება ერთი პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელად

დრო: ორი გაკვეთილი

მისაღწევი შედეგი, ინდიკატორი: მოსწავლეს შეუძლია მონაცემების მოწესრიგება და წარმოდგენა დასრული ამოცანის ამოსახსნელად ხელსაყრელი ფორმით. მოსწავლეს შეუძლია ფიგურების ან მათი ელემენტების ზომების მოძებნა/შეფასება და მათი გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისას. IX.8. IX.11

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გამოიყენებენ მათემატიკაში მიღებულ ცოდნას, კერძოდ – მართკუთხა სამკუთხედის ამოხსნასთან დაკავშირებით მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და გამოცდილებას – რეალური პრობლემის მიუხედავად ნერტილთან დაკავშირებული მანძილის პოვნის გადასაჭრელად.

ინტეგრირებული უნარ-ჩვევები: შემოქმედებითობის, დამოუკიდებელი აზროვნების, კომუნიკაციის, სხვისი მოსმენის, დავალების გადახილვის, ურთიერთთანამშრომლობის, გადამწყვეტილების მიღების უნარები.

სტრატეგიები: კითხვა-პასუხი, პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება (ხელსაწყო და მზადება, მონაცემების შეგროვება, დამუშავება და დასკვნის გაკეთება).

გაკვეთილის სტრუქტურა: გაკვეთილის მსვლელობა:

შესავალი (10 წთ.)

გაკვეთილი დაიწყო მასწავლებლის შესავლით. კერძოდ, მასწავლებელმა დასვა პრობლემა, რაც დაკავშირებულია მიუხედავად ნერტილის სიმაღლის პოვნასთან. აღნიშნული პრობლემა შესაძლებელია დავუკავშიროთ სატელევიზიო ანძის, ქართლის დედის სიმაღლის, მათ შორის, ევროპული სკოლის შენობის სიმაღლის გამოთვლას. აქ მასწავლებელი ელოდება მოსწავლეებისაგან მოსაზრებებს, ასევე სად ვხვდებით ანალოგიური ტიპის პრობლემებს. მოსწავლეების პასუხებმა არ დააყოვნა და მსგავსი შინაარსის პრობლემები დასახელეს: ძირითადად, თბილისის მაღალი შენობების სიმაღლეების განსაზღვრასთან. შემდეგი შეკითხვა მასწავლებლისგან იყო, როგორ შეიძლება გავზომოთ ეს მიუხედავად ნერტილის სიმაღლეები? აქ, მოსწავლეების პასუხები, დაფიქრების შემდეგ, იყო არარეალური, მაგრამ ისინი მალე ხვდებოდნენ, რომ პასუხები, სიმაღლის პოვნასთან ერთად, არარეალური ან სახიფათო იყო. კლასი ნელ-ნელა დაფიქრდა, რომ მარტივი პრობლემა, რომელიც რეალურია, მათგან გადაწყვეტას – ამოხსნას ითხოვს.

წინაპირობის გააქტიურება (15 წთ.)

გაკვეთილის ეს ნაწილი დაეთმო მოსწავლეების მიერ აქამდე შექმნილი ცოდნის გააქტიურებას. აქ შეიძლება გამოვიყენოთ



განმავითარებელი შეფასების რაიმი ინსტრუმენტი, მაგალითად, კითხვების დასმის სახით. შეიძლება დავაზუსტოთ საკითხები, რომლებიც ხელს უწყობს წინარე ცოდნის გააქტიურებას: დამოკიდებულებანი კუთხეებსა და გვერდებს შორის მართკუთხა სამკუთხედში; სინუსებისა და კოსინუსების თეორემა; სამკუთხედის ამოხსნა; პითაგორას თეორემა; მონაცემთა პირველადი დამუშავება (საშუალო, სტანდარტული გადახრა, მოდა, მედიანა).

ძირითადი ნაწილი (20 წთ.) იმისათვის, რომ გაკვეთილის ძირითადი ნაწილი მხოლოდ ვიდეოს ნახვას და თარგმნას (ზოგიერთ სკოლაში მოსწავლემ შესაძლოა ვერც შეძლოს თარგმნა) არ დაეთმოს, იქნებ ეს ნაწილი შემდეგნაირად შესთავაზოთ მკითხველს:

ამ გაკვეთილის სამოღელო გაკვეთილად წარმოდგენის მიზანია, მოსწავლეებმა შექმნან რესურსი, რომელსაც თავადვე გამოიყენებდნენ. აქ გამოვიყენე ჩემი საერთაშორისო ბაკალავრიატში სწავლების გამოცდილება. მოსწავლეებს შეეთავაზე ინტერნეტში შემდეგი ვიდეოს ნახვა:

<https://www.youtube.com/watch?v=dpsPpkRsWws>


ვიდეო არის საინტერესო ინსტრუმენტის შესახებ – „კლინომეტრი“, მარტივი ხელსაწყო, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, კუთხის საზომია:



ვიდეოს ნახვის დროს მოსწავლეები თავად თარგმნიდნენ მოცემულ ინსტრუქციებს და ინიშნავდნენ ხელსაწყოს დამზადების ეტაპებსა და საჭირო მასალებს. ხელსაწყოს ასაგებად მათ სჭირდებოდათ: ტრანსპორტირი, მაკრატელი, სკოჩი, მუყაოს ფურცელი, სანრუპი, სამაგრი, სქელი ძაფი. ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ, მოსწავლეებმა ვიდეოს მიხედვით ხელსაწყოს დამზადების ეტაპებისა და საჭირო რესურსების პრეზენტაცია გამართეს. მათ აღნიშნეს, რომ ინსტრუმენტი – კლინომეტრი საკმაოდ მარტივი ხელსაწყოა. მივეცი დავალება – ვიდეოს მიხედვით დამოუკიდებლად შექმნათ ეს ინსტრუმენტი.

გაკვეთილის გაგრძელება (45 წთ.)

მეორე გაკვეთილი უკვე პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და შემდეგ, მიღებული შედეგების დამუშავება იყო. ყველა მოსწავლემ მოიტანა სახლში დამზადებული კლინომეტრი. აქ უკვე დადგა კონკრეტული საკითხი, კერძოდ, სკოლის შენობის სიმაღლის პოვნა. ამისათვის გავემართეთ სკოლის ეზოში.



ამ ნახაზე სწორედ AD არის შენობის სიმაღლე, ხოლო B ნერტილში დამკვირვებელს აქვს კლინომეტრი და აწარმოებს გაზომვას, კუთხე A არის გაზომვის შედეგად მიღებული კუთხე. ცხადია, თითოეული მოსწავლისათვის ამ ნახაზის ზომები სხვადასხვა იქნება, ვინაიდან არის გაზომვის ცდომილებები, მოსწავლეების სხვადასხვა სიმაღლე.

აქ უკვე მოსწავლეები აწარმოებენ გაზომვებს და ავსებენ შემდეგ ცხრილს:

კუთხე A	მანძილი BC	მანძილი BN

ნერტილი A არის სწორედ სკოლის შენობის ყველაზე მაღალი ნერტილი, BC მანძილი – მოსწავლესა და სკოლის შენობას შორის, BN მოსწავლის სიმაღლეა. ცხადია, გაზომვები ცდომილებებს შეიცავს, ამიტომ თითოეული მოსწავლე რამდენიმე გაზომვას აკეთებს და შემდეგ სტატისტიკურად ამუშავებს მიღებულ მონაცემებს.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ ვინაცვლებთ საკლასო ოთახში. აქ უკვე მოსწავლეები შეუდგებიან დაწყებული სკემის დასრულებას, კერძოდ, მიიღებენ AD-ს გამოსათვლელ გამოსახულებას და მასში ჩასვამენ მიღებულ მონაცემებს. შეაფასებენ ცდომილებას. გაზომვების შედეგები მართლაც საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან იყო ცდომილებები. მოსწავლეებს მიეცათ ინსტრუქცია მონაცემთა დამრგვალებისა და მათი სტატისტიკურად დამუშავების თაობაზე. თითოეული მხასიათებლისთვის გამოთვალეს საშუალო და სტანდარტული გადახრა, შემდეგ კლასში გაიმართა, თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული შედეგების შედარება.

საშინაო დავალება: ამ დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს დავალება – ქართლის დედის ძეგლის სიმაღლის შეფასება კლასში გამოყენებული მეთოდის მიხედვით (შეიძლება ანალოგიური შინაარსის მქონე დავალების მიცემა, მაგალითად, სატელევიზიო ანძის სიმაღლის განსაზღვრა და ა.შ.).

რესურსები: სახელმძღვანელო – მათემატიკა IX, თ. ვეფხვაძე; დაფა, მარკერი, პროექტორი, კომპიუტერები, ინტერნეტი, ტრანსპორტირი, მაკრატელი, სკოჩი, მუყაოს ფურცელი.

გაკვეთილის რეზიუმე: რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო გაკვეთილის რეფლექსიას. გაკვეთილი მოსწავლეებისათვის იყო საინტერესო, ხალხისათვის ასრულებდნენ ყველა დავალებას, განსაკუთრებით მოეწონათ ხელსაწყო შექმნის გეგმის შედგენა-შექმნა-გამოყენების პროცესი. თითქმის ყველა მოსწავლემ შეასრულა გაზომვები, ზოგიერთ მოსწავლეს გაუჭირდა AD-ს გამოსათვლელი გამოსახულების მიღება. ცდომილება 7-9%-ის ფარგლებში იყო. გაკვეთილი, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, აკმაყოფილებდა პრობლემაზე ორიენტირებული სამოღელო გაკვეთილის შეფასების კომპონენტებს. მოსწავლეებმა ამ ტიპის გაკვეთილების ინტენსიურად ჩატარების სურვილი გამოთქვეს.

პეტრა ბაბილუა
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი,
თბილისის ევროპული სკოლა

სასკოლო პროექტები

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და აქტიური სასკოლო სხოვრების გარანტი

თანამედროვე სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცეში ინტენსიურად იწარმოება პროექტული მეთოდით სწავლება, რომელიც პირდაპირ მიმართულია რაიმე კონკრეტული პრობლემის გადაჭრისა და სწავლისადმი მოტივაციის ზრდისკენ, სასწავლო პროცესში მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის აქტიური ჩართულობისა და სხვადასხვა ინიციატივის განხორციელებისაკენ.

როგორც ვიცით, მოტივაცია არის იმპულსი, სურვილი, შინაგანი პროცესი, რომელიც ადამიანს ქმედებებისაკენ უბიძგებს. მოსწავლის მოტივაციას განსაზღვრავს მისი გარემო: თანატოლები, მასწავლებლები, დირექციის მიერ სწორად, საინტერესოდ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, მიმზიდველი სასკოლო გარემო, მშობლები, ინოვაციური გაკვეთილები... თუმცა, მოსწავლეთა მოტივირების თვალსაზრისით, მასწავლებლის და სკოლის ლიდერის როლი ყველაზე მნიშვნელოვანია.

დაიხ, დღეს, ისე როგორც არასდროს, სკოლას სჭირდება ინოვაციური ხელმძღვანელობა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის წარმატებით განვითარებას, მართებულად დაგეგმილ სასწავლო პროცესს, მოტივირებულ მოსწავლეებსა და პედაგოგებს, სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ მშობლებს, რაც უპირობოდ წარმატებული სკოლის გარანტიაა.

ჩვენ, სკოლის დირექტორებს, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია და შესაბამისად, ვცდილობთ ძალ-ღონე არ დავიშუროთ იმისათვის, რომ სკოლაში არსებული ყველა ადამიანური რესურსის გამოყენებით სწავლა-სწავლება აქტიური და მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული გახადოთ.

ყოველივე ამას ისახავდა მიზნად ის სასკოლო პროექტები, რომელიც 2 წლის განმავლობაში მე, როგორც სკოლის ლიდერმა, განვახორციელე:

1. „გარემოს დაცვა ჩვენი ვალია“;
2. „არა ძალადობას“;
3. „თანასწორუფლებიანობის სახელით“;
4. „ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“.

„გარემოს დაცვა ჩვენი ვალია“ – საზოგადოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, ესგ-ში გამოყოფილია 9 პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენცია, შესაბამისად, ყველა სკოლა უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებში მათ განვითარებაზე, რომელთა ფლობა გადაწყვეტია თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზაციისა და სათანადო ადგილის დამკვიდრებისათვის. ამ კომპეტენციებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ეკოლოგიური ნივთიერებაა, სწორედ ამ კომპეტენციის განვითარებისათვის ერთგვარი ხელშეწყობა გახლდათ მიზანი პროექტისა „გარემოს დაცვა ჩვენი ვალია“, რომელიც სკოლაში 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში ჩართულნი იყვნენ: სკოლის სამივე საფეხურის 400-მდე მოსწავლე, თე-



მი, ქალაქის საკრებულო, ქალაქის გამწვანებისა და დასუფთავების სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაცია PIN. პროექტი მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: ვიდეორგოლის გადაღება და სოციალურ ქსელში განთავსება, ინტეგრირებული გაკვეთილები, ნახატებისა და სლოგანების კონკურსი, ქალაქის ხელმძღვანელების მიერ გადმოცემულ მინის ნაკვეთზე სკოლის სახელობის ხეივნის გახსნა, ხეების დარგვა, ეკოკლუბის ჩამოყალიბება, ბუნების გადარჩენის მიზნით ნარჩენებისაგან ნაძვის ხეების შექმნა. პროექტი არ გულისხმობდა ერთჯერად ზრუნვას ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად, იგი დღესაც გრძელდება ეკოკლუბის, სამოქალაქო კლუბის აქტივობებსა და იმ ინტეგრირებულ გაკვეთილებში, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიური კომპეტენციის განვითარებას მოსწავლეებში.

„არა ძალადობას“ – საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ერთდაგვარი გამოხმაურების და ძალადობის პრევენციის მიზნით, სკოლაში განვახორციელეთ ერთკვირიანი პროექტი, რომლის ფარგლებში დაიგეგმა მრავალფეროვანი აქტივობები: საქალაქო დისკუსია სკოლათა ჩართულობით, კლასის საათები, პლაკატებისა და სლოგანების ჩანახატების შექმნა, აქცია სკოლის ეზოში სახელწოდებით „ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას“, მოსწავლეების მიერ შექმნილი ესსეების განხილვა, სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბის „ერთობა“ ორგანიზებით ქართული მხატვრული ფილმის „ტბა“ ჩვენება, მოსწავლეების მიერ ძალადობის სცენების იმიტირება.

პროექტში ჩართული იყვნენ: 300-მდე საბავო და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ქალაქის 5 სკოლა, 30-მდე პედაგოგი, ქალაქის რესურსცენტრის, ასევე საპატრულო პოლიციისა და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, 20-მდე მშობელი.

ზემოთ აღნიშნულმა პროექტმა მოსწავლეებს განუვითარა არგუმენტირებული მსჯელობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები, აუმაღლა არაძალადობრივი ცნობიერება. პროექტის ერთგვარი გაგრძელება სკოლაში სადამრიგებლო და სადირექტორო საუბრები მოსწავლეებთან, მშობელთა კონფერენცია, რომელიც ჩავატარეთ სახელწოდებით „მე – მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი“ (რომელიც ტრადიციად დამკვიდრდა სკოლაში).

„თანასწორუფლებიანობის სახელით“ – როცა ჩვენთვის ცნობილი გახდა ჩეხური არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ არსებობა, მასთან თანამშრომლობითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, სკოლაში განვახორციელეთ პროექტი „თანასწორუფლებიანობის სახელით“, რომლის მიზანი იყო ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ადეკვატური ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინტეგრირება საზოგადოებაში. პროექტი ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: თემის ინფორმირებულობა და შშმ მოსწავლეების ინტეგრაცია საზოგადოებაში.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა: ვიზიტი თოჯინების თეატრში, ფილმების ჩვენება, ექსკურსია, ბუკლეტების დამზადება, ფლეშმობი, სამუშაო შეხვედრები მშობლებთან. პროექტში ჩართეთ ქალაქში არსებული ინკლუზიური ცენტრი, №2, №3, №4 და სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლების შშმ აღსაზრდელები. პროექტი სამი თვე ხორციელდებოდა, მასში ჩართული იყო 35-მდე შშმ მოსწავლე, 200-მდე მშობელი, პედაგოგი და დაინტერესებული პირი.

პროექტში ჩართულ თითოეულ ადამიანს ინკლუზიურ გა-



ნათლებასთან დაკავშირებული ადეკვატური ღირებულებები ჩამოყალიბდა და განუვითარდათ ემპათიის უნარი.

„ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ – სსიპ ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის საქმიანობათა პოპულარიზაციას, სკოლის დაარსებიდან 135-ე წლის იუბილის აღნიშვნას, სკოლის წარმატებული და ღირსეული კურსდამთავრებულების გახსენება-წარმოჩენას, მოსწავლეებისათვის სკოლის წარსული საქმიანობების გაცოცხლებას და თემში სკოლის თანამედროვე საქმიანობების გაცნობას, მოსწავლეთა კონტინენტის ზრდას ისახავდა მიზნად სოციალური პროექტი „ანმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“, რომელიც 4 ამოცანას მოიცავდა:

- I – სკოლის საიუბილეო წიგნის გამოშვება;
- II – სკოლის საქმიანობების პოპულარიზაცია (ვიდეორგოლის შექმნა, ესსეების და ნახატების კონკურსი);
- III – სკოლის საპატიო კურსდამთავრებულთა და საპატიო პირველსკოლელთა დებულების შემუშავება-დამტკიცება;
- IV – საიუბილეო დღის აღნიშვნა.

პროექტში ჩართული იყვნენ: სკოლის სამივე საფეხურის 100-მდე მოსწავლე, 25 მშობელი, თემის წევრები, 52-მდე პედაგოგი, სკოლის ყველა თანამშრომელი.

პროექტმა ხელი შეუწყო სკოლის ისტორიის გაცოცხლებას, ღირსეული პირველსკოლელების წარმოჩენას, მოსწავლეებისათვის სკოლის წარსული საქმიანობებისა და თემში სკოლის თანამედროვე საქმიანობების გაცნობას, სკოლის ცნობადობისა და მოსწავლეთა კონტინენტის გაზრდას.

ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელებამ, უპირველესად, ხელი შეუწყო მოსწავლეებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას, სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს გააქტიურებას, მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მოზარდებში XXI საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებასა და სკოლაში უნიკალური კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა, სადაც თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს, სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა აკისრია. ყოველივე ამას კი ხელს უწყობს სწორად წარმართული სწავლება, რომლის როლი წარმატებული სკოლის შექმნაში ძალზე დიდია.

ფაქიზო ფანჩულიძე
სსიპ ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის დირექტორი

თვალსაზრისი

უხილავი მასწავლებელი

შუა საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებული მონივნებით ეპყრობოდნენ სამ წიგნს: „სახარებას“, „ქართლის ცხოვრებას“ და „ვეფხისტყაოსანს“.

ჩვენთვის, ისტორიკოსებისთვის, გამორჩეული და საინტერესოა საუკუნეებგამოვლილი, ათას ჭირ-ვარამს გადარჩენილი, სხვადასხვა თაობის მიერ ნაკონინები ქართველთა ისტორია, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ უწოდეს. რომ არა ეს წიგნი, ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა ჩვენი ისტორიული წარსულიდან. დღეს ასეთი მნიშვნელობის მქონე წიგნის არსებობის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის.

მასწავლებელთა სიტყვები: „ანწყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა“ (გოცთვრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის ეს სიტყვები ილიამ „ქართლის დედას“ წაუძღვარა). ალექსანდრე ყაზბეგი კი, ხევისბერი გოჩას სიტყვებით – „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“, მიგვანიშნებს, რომ არასდროს უნდა დავივიწყოთ ვინ ვართ, საიდან მოვედით და სად მივდივართ.

რატომ გავაკეთე ასეთი შესავალი? მიხედვით, თუკი გადათვალთ ისტორიისა და ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებშიც ძალიან მცირე ინფორმაციაა შეტანილი ასეთი ღირებული წიგნის შესახებ. თუმცა

ვხვებით ფრაგმენტებს, სწორედ ამიტომ ვუნდოდ „ქართლის ცხოვრებას“ უხილავი მაცნე.

ძველად ქართლი აღნიშნავდა საქართველოს, ცხოვრება – ისტორიას, ე.ი. „ქართლის ცხოვრება“ არის საქართველოს ისტორია. ეს არის წიგნი, რომელიც იწერებოდა სხვადასხვა დროს, ანუ „ჟამით ჟამად“, მას არ ჰყავს ერთი ავტორი. ეს ისტორიულ თხზულებათა კრებული ისეა შედგენილი, რომ ერთიანი თხზულებაა, სადაც გადმოცემულია ერისა და ქვეყნის ისტორია.

სულ „ქართლის ცხოვრების“ 14 ხელნაწერია ცნობილი, აქედან ზოგი არასრულია, ზოგიც დაზიანებული. მასში შექმნილია ახალი მასალა, ავრცობდნენ, რედაქციას უკეთებდნენ, აფასებდნენ, ისტორიკოსებისთვის ყოველი ხელნაწერი ფასდაუდებელია. დღესდღეობით არსებობს „ქართლის ცხოვრების“ ორი ციკლი, ე.ი. „ძველი ქართლის ცხოვრება“ და „ახალი ქართლის ცხოვრება“. „ძველი ქართლის ცხოვრება“ მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო „ახალი ქართლის ცხოვრება“ – XVI-XVII საუკუნეების ისტორიას. თხზულება პატრიოტული სულისკვეთებითაა განმსჭვალული. აქ მოთხრობილია თავდადებულ მეფეთა და გმირთა, ასევე მოღალატეთა შესახებ.

ქართველი ერის საამაყო ისტორიკოსი, ქალბატონი მარიაკა ლორთქიფანიძე, ბრძანებდა, რომ დიდია „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა თაობათა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ეროვნულ საქმეში.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ერს, მომავალ თაობას სჭირდება „ქართლის ცხოვრების“ საფუძვლიანად შესწავლა, რათა თაობები გაიზარდონ პატრიოტული სულისკვეთებით, განუმტკიცდეთ ეროვნული თვითშეგნება, სწორედ ამიტომ, არა ფრაგმენტულად, არამედ ვრცლად უნდა ისწავლებოდეს „ქართლის ცხოვრება“. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნზე აღზრდილი თაობები უფრო მეტს გააკეთებენ თავიანთი ქვეყნისთვის.

მარინა გომიზარიძე
სსიპ ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი

დამონებული ლიტერატურა:
ლორთქიფანიძე მ., „რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბილისი 1989.

სკორტი

სუსიბერიძის მორიბი წარმატება

მას შემდეგ, რაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ნინო სუსიბერიძემ** მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული თამაშების ლიცენზია მოიპოვა ტყვიის სროლაში, მორიგ წარმატებას მიაღწია – ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონატი მოიგო ახალგაზრდებში – 557 ქულა. მეორეზეც ქუთაისელი სპორტსმენი გავიდა – პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე **ლიზი კილაძე**, რომელმაც 555



ქულა დააგროვა, ბრინჯაოს კი 550-ით თბილისელი **მარიამ ღვინიაშვილი** დაეუფლა.

ხუციბერიძის წარმატება ამით არ ამოწურულა – თანაქალაქელ **შოთა გირგვლიანთან** ერთად, შერეულ ნყვილებში, ბრინჯაოც მოიპოვა.

მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული თამაშები ოქტომბერში, არგენტინაში, გაიმართება. მისი საგზური ხუციბერიძემ კი მოიპოვა, მაგრამ იქ წასვლა ჯერ მაინც არ აქვს განაღებულ. საქმე ისაა, რომ ეს საგზური ფედერაციას ეკუთვნის და არა თავად სპორტსმენს, მას კი მონაწილის შეცვლა შეუძლია. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლიცენზიის მომპოვებელს სხვა კონკურენტი აჯობებს შედეგებით. ფედერაცია ახლაც ამას ელოდება – მანამდე ხუციბერიძეც და კილაძეც კიდევ რამდენიმე ტურნირში გამოვლენ, სადღესოდ კი ისინი, დაახლოებით, თანაბარ შედეგებს აჩვენებენ.

ბიჭებში საქართველოს წლევეანდელი ჩემპიონი **აკაკი მოსულიშვილი** გახდა 553 ქულით, მეორეზე **რევაზ ხარაბაძე** გავიდა 548-ით, მესამეზე – **ივა ჭანკოტაძე** 540-ით. აღსანიშნავია, რომ სამივე სპორტსმენი თბილისელია და სამივე **ნინო სალუქვაძის** ტირში ვარჯიშობს.

სასკოლო ხელბურთის მეორე ეტაპი

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია აგრძელებს ქვეყნის საჯარო თუ კერძო სკოლებში ხელბურთის განვითარების პროექტს. უკვე დასრულდა პირველი ეტაპი, გუშინ კი თელავიდან დაიწყო მეორე.

ეს პროექტი ფედერაციამ ორი წლის წინ წამოიწყო. პირველი ეტაპი ქვეყნის მასშტაბით საჯარო თუ კერძო სკოლებში სპორტის მასწავლებელთა გადამზადებას ითვალისწინებდა. ამ დღე-ამ ყველა რეგიონი მოიცვა და მართლაც გადამზადდა 200-მდე

მასწავლებელი, რომლებმაც უკვე მიიღეს თეორიული ცოდნა და მზად არიან ხელბურთის გაკვეთილების ჩასატარებლად.

მეორე ეტაპი პრაქტიკული ცოდნის მიცემას და ადგილებზე ჯგუფების რეალურად შექმნას ითვალისწინებს, ფედერაცია კი მათ უზრუნველყოფს ბურთებით, ბადეებით თუ სხვა საჭირო ინვენტარით. ამასთან, მასწავლებლებს უნდა უმასპინძლონ.

მეორე ეტაპი, ამ დღეებში, თელავიდან დაიწყო, რომელიც რამდენიმე კონკრეტული მიზეზით შეირჩა: თელავს ხელბურთის დიდი ისტორია აქვს, სათანადო ბაზებიც მეტ-ნაკლებად, თუმცა გადამწყვეტი მაინც ისაა, რომ წლეულს ამ ქალაქმა ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს.

თელავში პროექტის განსახორციელებლად 6 სკოლა შეირჩა: ქალაქის №1 (სპორტის მასწავლებელი – **ქეთევან გაიბარაშვილი**), №3 (**გიორგი ჩხეიძე**), №4 (**თეა დემინაშვილი**), №5 (**კახა ესიტაშვილი**), №9 (**დავით აბრამიშვილი**) და წინანდლის (**მაია მწითური**) საჯარო სკოლები.

ამ სკოლებში რეგულარულად (თავისუფალი თუ სპორტის გაკვეთილების ხარჯზე) ჩაუტარდება მეცადინეობები, კვირაში ერთხელ კი სავარჯიშოდ გამოეყოფათ თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების დარბაზის სტანდარტული სახელბურთო მოედანი. რაგბის ფესტივალების ანალოგიურად (რაც ძალიან კარგ საქმეს აკეთებს რაგბიში და ძალიან პოპულარულიცაა), თვეში ერთხელ, თელავშივე, ჩატარდება სახელბურთო ფესტივალები. ამ ყველაფერში ხელბურთის ფედერაციას მაქსიმალურად ეხმარება და გვერდში უდგას თელავის ადგილობრივი ხელისუფლება.

მეორე პროექტი ანალოგიური სცენარით წარიმართება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ანუ ფედერაცია მათ მოამარაგებს ინვენტარით, მასწავლებლებს კი დაუნიშნავს სტიპენდიას. თუმცა ანალოგიური ჯგუფების გახსნა რამდენიმე ფაქტორზე დამოკიდებულია: უნდა ჰყავდეთ პირველი ეტაპის შემდეგ სერტიფიცირებული პედაგოგი, უნდა ჰქონდეთ დარბაზი... ბუნეფიცია რ სკოლებს ამ კრიტერიუმით არჩევენ, თელავის შემდეგ კი პირველ რიგში ყვარელი და გორია, მეორე – ქუთაისი და ბათუმი, ამათ კი ზუგდიდი, ტყეპული, სენაკი, ფოთი და სხვა ქალაქებიც მოჰყვება.

სკორტის ბელჯე იმსჯელეს

საქართველოს პარლამენტის სკორტის კომიტეტში განათლებისა და მეცნიერების მინისტრ **მიხეილ ჩხენკელთან** შეხვედრა გაიმართა, რომელზეც განათლების სფეროში სკორტის კომპონენტის გაფართოებაზე ისაუბრეს. შეხვედრას, მასპინძელთა მხრიდან, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ ყაველაშვილი**, ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**, პარლამენტარი **ირინა ფრუიძე** და სკორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა ეროვნული კონსულტანტი (UNDP) **ანატოლი კორეპანოვი** ესწრებოდნენ.

განათლების სისტემაში, საჯარო თუ კერძო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში სკორტი რომ არასახარბიელო მდგომარეობაშია (და ეს ყველაზე რბილი ნათქვამია), ყველამ კარგად იცის. არადა, უცხოეთში ეს სეგმენტი პროფესიულ სპორტს დიდ შევსებას აძლევს, არაფერს ვამბობთ საუნივერსიტეტო სპორტზე, რომელიც ცალკე მიმართულებაა, ცალკე ინდუსტრია თავისი ბიუჯეტით და სტრატეგიით. საუნივერსიტეტო სპორტი ბევრ ქვეყანაში, თავისი მასშტაბით, არაფრით ჩამოუვარდება მაღალი მიღწევების სპორტს, ჩვენთან კი სავალალო მდგომარეობაშია, იმდენად სავალალოში, რომ მას შემდეგ, რაც ხუთიოდე წლის წინ, ყაზანში, 100-მდე სპორტსმენი დაკომპლექტებულმა გუნდმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო მოიპოვა, გუნდი მსოფლიო უნივერსიდაზე აღარც გაუშვიათ.

ამ ფონზე არაფერს ვამბობთ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე, ისინი არც „ახსოვს“ სკორტის სისტემას და ამ თემაზე საუბრისას მათ არავინ ახსენებს. არადა, მოზარდის სპორტულად აღზრდა ბაღებიდან უნდა დაიწყო. რამდენად პოპულარული და მისაღები შეიძლება გახდეს სპორტი ბავშვებში, ამას „ჯუდო ქიდაცი“ ადასტურებს. შეგახსენებთ, რომ ეს ე.წ. სახალისო ძიუდოა, რომელიც ცდილობს ბავშვებს, სათანადო ელემენტების მოშველიებით და არა მწყობრი სავარჯიშო სისტემით, შეაყვაროს ძიუდო, აზიაროს ძიუდოს უმარტივეს უნარ-ჩვევებს და შეასწავლოს, განუვითაროს ორგანიზმისთვის აუცილებელი თვისებები: კოტრიალი, წინ გადაგორება და სხვ. თავის მხრივ, ეს ყველაფერი ეხმარება ორგანიზმს მოქნილობაში, კოორდინაციის განვითარებაში. ძიუდოს ფედერაციის მიერ წამოწყებული პროგრამა გათვლილია ორ, ყველაზე უფრო მცირე ასაკობრივ ჯგუფზე – 3-4 და 5-6 წლის ბავშვებზე. ამ პროგრამამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. ბავშვების მოზღვავებამ ცხადყო, როგორ შეიძლება ბავშვი პატარაობიდანვე დაინტერესო სპორტით.

ერთი სიტყვით, განათლების სფეროში სკორტის კუთხით პრობლემები დასაშვებზე მეტიცაა, თუმცა არც ზოგადად ქვეყანაში და მამიქედებში მდგომარეობა – ოფიციალური კვლევებით, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილია ჩართული სპორტში. ამი-



ტომ გასაკვირიც არაა, პარლამენტი ამ საკითხით თუ დაინტერესდა, კონკრეტულად, განათლების სისტემაში. ზემოაღნიშნული შეხვედრის მიზანიც ეს იყო – ამ სფეროში სკორტის როლის გაზრდაზე ისაუბრეს. ყაველაშვილმა მინისტრს კომიტეტის ხედვა და ამ მიმართულებით დაგეგმილი პროექტები გააცნო, მეორე კი აღნიშნა: „საქართველოს მოსახლეობის 20 პროცენტს ახალგაზრდობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით უამრავი გამოწვევა არსებობს, რასაც ახალგაზრდობის ფიზიკური და გონებრივი განვითარება ჰქვია. ეს გამოწვევები ერთად უნდა დავძლიოთ და სწორედ ამიტომ გვინდა თქვენი გეგმების მოსმენა“.

ჩხენკელმა საპასუხო სიტყვა ცოტა უცნაური ფრაზით დაიწყო – „იმის მიუხედავად, რომ სპორტი ჩვენი სამინისტროს იურისდიქციაში არ შემოდის!“, თუმცა შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ სასწავლო დაწესებულებებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ისეთივე მნიშვნელოვანია აქვს, როგორც განათლების მიღება. თან სკორტის განვითარება სკოლებში აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასაც დაუკავშირა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც რეგულარულად გაიმართოს.

რუბრიკას უძღვება ირაპალი თაყაიძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სასწავლო პროექტები ნიგონი მოსწავლე ნიგონი დახმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა სახეობის პროექტებს...

ქართული I-VI კლასები ნიგონი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული განვითარების...

პროფესიული უნარები დახმარება სასწავლო პროექტების განხორციელების...

მასწავლებლის სამუშაო რევილი მასწავლებლის სამუშაო რევილი მასწავლებლის სამუშაო რევილი...

ინტერაქტიული მეთოდების კრებული ინტერაქტიული მეთოდები ინტერაქტიული მეთოდები...

კათედრის გაგების კორცეფციული კათედრის გაგების კორცეფციული კათედრის გაგების კორცეფციული...

მასწავლებლის კალენდარი მასწავლებლის კალენდარი მასწავლებლის კალენდარი...

სწორი დაწყების კვალი სწორი დაწყების კვალი სწორი დაწყების კვალი...

ნიგონი უნარები დახმარება სასწავლო პროექტების განხორციელების...

მოქალაქეთა საბასტაბო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები...



თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

ნაშრომი და მომონი ანბანი ქართული ენის კრებულები

სერიის შემადგენელი I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდებისთვის...



ეროვნული სასწავლო გზებით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიგოთ მათემატიკა გავიგოთ მათემატიკა გავიგოთ მათემატიკა...

ნიგონი უნარები დახმარება სასწავლო პროექტების განხორციელების...

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

თამაზ ვასაძე ქართული აბიგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

თამაზ ვასაძე ქართული აბიგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის

თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

ტესტები ქართულ ლიტერატურაში საბასტაბო და ეროვნული გამოცდებისთვის

ტესტები ქართულ ლიტერატურაში საბასტაბო და ეროვნული გამოცდებისთვის

ნიგონი I V-XVIII საუკუნეების მხედრობა ნიგონი II XIX საუკუნის მხედრობა ნიგონი III XX საუკუნის მხედრობა

თამაზ ვასაძე კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ფიზიკა საბასტაბო გამოცდებისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

ბიოლოგია საბასტაბო გამოცდებისთვის ლ. ბურღულიძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მადრაძე, დ. ნაზირიშვილი

ისტორია ეროვნული გამოცდებისთვის ნ. ახვლედი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ბელმონტის თანხა გადმოცემის რეკვიზიტები: მიმღები - შპს „ახალი განათლება“...